საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში "მეწარმეობის დღე" ჩატარდება

ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ პროგრამის „შემოქმედებითი ნაპერწკალი: **სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“** მე-2 წლის პროექტის ძირითადი გეგმის იმპლემენტაციის ფარგლებში, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით, სტუ-ს ინოვაციების ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის **25 დეკემბერს,** ოთხშაბათს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში **„სტუ-ს მეწარმეობის დღე“** მეორედ ჩატარდება.

ნებისმიერ სტუდენტს, კურსდამთავრებულს, აკადემიური და ადმინისტრაციული წრის წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ღონისძიების თემატიკით, გააჩნიათ ინოვაციური სამეწარმეო იდეა, სურვილი აქვთ, უფრო მეტი გაიგონ ინსპირირებული სამეწარმეო ცოდნის, ინოვაციების და ზოგადად, ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ „სტუ-ს მეწარმეობის დღესთან" დაკავშირებულ ღონისძიებაში.

ღონისძიება ჩატარდება სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სასწავლო კამპუსში, ერთი დღის განმავლობაში და ის ითვალისწინებს სამოტივაციო და სასესიო გამოსვლებს, ჯგუფურ სამუშაოებს და პრეზენტაციებს. დაგეგმილ აქტივობებს გაუძღვებიან გამოცდილი ტრენერები და მოდერატორები. დღის ბოლოს მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. ასევე, ღონისძიებაზე გაიგებთ პროგრამის „შემოქმედებითი ნაპერწკალის“ სამომავლო გეგმების შესახებ.

აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრებად გათვალისწინებულია 20 ადგილი. განაცხადები მიიღება 15 დეკემბრამდე. [რეგისტრაციისათვის შესავსებია ბმული](#).

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას ერთობლივად ანხორციელებენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური და სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი. ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის მთავარი პარტნიორია სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.

ღონისძიებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ **სტუ-ს ინოვაციების ცენტრს** (საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი N221; ოთახი N223) ან სტუდენტურ თვითმმართველობას.

კითხვების ან საკონსულტაციო შეხვედრების სურვილის შემთხვევაში მოგვწერეთ: innovations@gtu.ge ან დაგვირეკეთ ტელ.: 2 36 51 29